საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ECOMIX"-ის (ს/კ 406056440) დირექტორი
ბ-ნი არმან ჰაკობიანი
ელ. ფოსტა ecomix.ge@yahoo.com
ტელ: 597 550303

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ECOMIX"-ის (ს/კ 406056440) (რეგისტრირებული: თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 6), გეგმავს წყალში ხსნადი საღებავის წარმოებას ქ. თბილისში, დასახლება სამგორის რაიონი, თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 16, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.19.002.065. (GPS კოორდინატში X=41.69687; Y=44.89.822). საწარმოში დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, იგეგმება 1 ტონა საღებავის წარმოება, წელიწადში 180 სამუშაო დღით 180 ტონა პროდუქციის წარმოება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად, შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით, ქიმიური ნივთიერების წარმოება და 6.3 ქვეპუნქტის თანახმად, ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს ECOMIX-ის დირექტორი არმან ჰაკობიანი

დანართი:

1. სკოპინგის ანგარიში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ECOMIX”

წყალში ხსნადი საღებავის წარმოების საამქრო

(ქ. თბილისი, სამგორის რ-ნი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა #16 , ს/კ 01.19.19.002.065)

სკრინინგის ანგარიში

ქ. თბილისი, 2021 წელი

შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ECOMIX"-ის (ს/კ 406056440) (რეგისტრირებული: თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 6), მოწყობილი აქვს წყალში ხსნადი საღებავის წარმოების საამქრო ქ. თბილისში, დასახლება სამგორის რაიონი, თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 16, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.19.002.065. (GPS კოორდინატში X=491511.00; Y=4616079.00) საწარმოში დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, დღეში ერთხელ იგეგმება 1 ტონა საღებავის წარმოება, წელიწადში 180 სამუშაო დღით 180 ტონა პროდუქციის წარმოება.

ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი 1

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

#	მონაცემების დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1.	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ECOMIX"
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	 ქ. თბილისი, სამგორის რ-ნი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა #16 , ს/კ 01.19.19.002.065 საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რ-ნი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა #6
3.	საიდენფიკაციო კოდი	406056440
4.	GPS კორდინატები	X=491511.00; Y=4616079.00
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ; ტელეფონები: ელ. ფოსტა:	არმან ჰაკობიანი ტელ: 597 55-03-03; 597 46-90-90 ecomix.ge@yahoo.com
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	170 მეტრი
7	ეკონომიკური საქმიანობა:	წყალში ხსნადი საღებავების წარმოება
8	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	სხვადასხვა სახის წყალში ხსნადი საღებავები
9	საპროექტო წარმადობა:	წარმადობა 0.125 ტ/სთ; 180 ტ/წელ.
10	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	198000 ტ/წელ მდინარის ბალასტი
11	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	კალგონი - 360 კგ/წელ; დისპერგატორი-360 კგ/წელ; ბიოციდი - 360 კგ/წელ; ანტიქაფი-360 კგ/წელ; ცელულოზა - 792 კგ/წელ; სოდა - 180 კგ/წელ; კაოლინი - 1800 კგ/წელ; ცარცი 5 მიკრონიანი - 27900 კგ/წელ; ცარცი 10 მიკრონიანი-71100 კგ/წელ; გამასქელებელი - 540 კგ/წელ; პოლიმერი-21600 კგ/წელ; ეთილენგლიკოლი - 450 კგ/წელ; ტიტანიუმ დიოქსიდი -9000 კგ/წელ; წყალი - 45198 ლ/წელ.
12	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	1440 სთ
13	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8 საათი

ვინაიდან, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად, შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით, ქიმიური ნივთიერების წარმოება და 6.3 ქვეპუნქტის თანახმად, ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ECOMIX”-ის (ს/კ 406056440) (რეგისტრირებული: თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N 6), გააჩნია წყალში ხსნადი საღებავის წარმოების საამქრო ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ. N 16, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.19.002.065. (GPS კოორდინატში X=491511.00; Y=4616079.00).

მიწის ფართობი, სადაც მოწყობილია წყალში ხსნადი საღებავების წარმოების საამქრო, წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომლის ფართობია 4343 მ². აღნიშნული მიწის ნაკვეთი თავისი შენობა-ნაგებობებით, რომელშიც დამონტაჟებულია საამქროს ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგარები, წარმოადგენს მის საკუთრებას.

აღნიშნული ტერიტორია მიეკუთვნება სამგორის რაიონის სამრეწველო ტერიტორიას (სამრეწველო ზონა 1). ნაკვეთს ძირითადად გარსს აკრავს არასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები თავისი შენობა-ნაგებობებით. უახლოესი დასახლებული საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 170 მეტრით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ECOMIX”-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	491511.00	4616079.00

უშუალოდ ტერიტორიის საზღვრების GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	491452.40	4616073.75
2	491531.71	4616137.47
3	491558.11	4616095.42
4	491472.90	4616043.82

აღნიშნული ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან, ის მთლიანად მობეტონებულია და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

როგორც უკვე აღინიშნა ტერიტორია მთლიანად მობეტონებულია, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება, შესაბამისად მისი მოხსნა საჭირო არ არის.

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

სურ.1 - საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური რუკა.



1.2 საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები და წარმოებული პროდუქცია

საწარმო, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, საწარმოში დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, დღეში ერთხელ იგეგმება 1 ტონა საღებავის წარმოება, წელიწადში 180 სამუშაო დღით 180 ტონა პროდუქციის წარმოება, რისთვისაც გამოიყენებს: კალგონი - 360 კგ/წელ; დისპერგატორი-360 კგ/წელ; ბიოციდი - 360 კგ/წელ; ანტიქაფი-360 კგ/წელ; ცელულოზა - 792 კგ/წელ; სოდა - 180 კგ/წელ; კაოლინი - 1800 კგ/წელ; ცარცი 5 მიკრონიანი - 27900 კგ/წელ; ცარცი 10 მიკრონიანი-71100 კგ/წელ; გამასქელებელი - 540 კგ/წელ; პოლიმერი-21600 კგ/წელ; ეთილენგლიკოლი - 450 კგ/წელ; ტიტანიუმ დიოქსიდი -9000 კგ/წელ; წყალი - 45198 ლ/წელ.

2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

2.1. წყალში ხსნადი საღებავების წარმოებისათის ნედლეული ქვეყანაში შემოდის თურქეთიდან, სახმელეთო გზით, სატვირთო ავტომობილით, საბაჟო პროცედურების გავლის შემდგომ, ნედლეული რომელიც გახლავთ ქაღალდის ტომრებში მოთავსებული 1 ტონიანი ავზებით IBS TANK-ებით. კომპანიის საკუთრებაში არსებული მცირე სატვირთო ავტომობილით ხდება ტრანსპორტირება (შიდა გადაზიდვა) საწარმოს ტერიტორიაზე (საწყობში, საიდანაც შესაბამისი საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება მათი გახარჯვა, წყალ დისპერსიული საღებავების დამზადების მიზნით.

2.2. აღნიშნული ნედლეულის წყალში გახსნის შემდეგ ხდება მისი მორევა **(მიქსერით : GAMAK - 22kw motor inventor griver paint mixer)**, ამის შემდგომ მთავრდება საღებავის წარმოება და იწყება დაფასოების პროცედურები იმავე ავზიდან სადაც მოხდა დამზადება, ავზის ქვედა ნაწილში არსებული ონკანის საშუალებით, საიდანაც საღებავი თავსდება სხვადასხვა ტევადობის სათლებში, რომელზედაც შემდგომში თავსდდება შესაბამისი სტიკერი (ეტიკეტი) და გადაინაცვლებს საწყობში.

2.3. პროდუქციის შემდგომი რეალიზაცია ხდება წინასწარ შეკვეთილი (გაყიდვების მენეჯერი წინასწარ ახდებს შეკვეთის გაფორმებას სხვადასხვა მომხმარებელთან (იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან), რაზეც რეგისტრირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი ე.წ. „სასაქონლო ზედნადები“) საღებავების ტრანსპორტირება კომპანიის მცირე სატვირთო ავტომობილებით მომხმარებლებამდე.

2.4. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საწარმოს ტერიტორიაზე ხდება წყალში ხსნადი საღებავების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მიღება, რომელიც გახლავთ იმპორტირებული, რომელიც ინახება მშრალ, დაცულ საწყობში ერთ ტემპერატურაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, მზა პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება სატვირთო ავტომობილებით, რომლებიც კომპანიის საკუთრებაშია, რომელზეც იწერება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი.

საღებავების საწარმოში დასაქმებულია 6 ადამიანი.

საწარმოს ტერიტორიაზე შემოსატანი ნედლეულის რაოდენობა წარმოადგენს წელიწადში დაახლოებით 135 ტონას.

2.5. წარმოების დროს გამოიყენება შემდეგი დანადგარები:

შემრევი მოწყობილობა (მიქსერი), რომელიც ახდენს ერთ ავზში მოთავსებული წყლისა და ნედლეულის მორევას/შერევას;

საწარმოში გამოიყენება 2 ცალი ავზი სადაც შემრევი მოწყობილობით ხდება საღებავის დამზადება.

2.6. პროცედურულად წარმოება მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით: ავზში ისხმება წყალი, ემატება შესაბამი ნედლეული და შემდგომ ერევა ერთმანეტში შემრევი (მიქსერში) მოწყობილობით, ამის შემდეგ ხდება დაფასოება. დაფასოების შემდეგ ხდება ავზის გამორეცხვა, რომლის ნარეცხი გადაისხმევა მეორე ავზში, რომელიც გამოიყენება შემდგომი წარმოებისათვის, ისე რომ ნარეცხის გადაღვრა არ ხდება. წყალმომარაგება ხდება GWP-სთან შეთანხმებით, კომპანიას მინიჭებული აქვს შესაბამისი აბონენტის ნომერი, ხოლო ჩამდინარე სამრეწველო წყლები არ წარმოიქმნება.

საწარმოში წყალში ხსნადი საღებავების წარმოებისათვის ნედლეულის სახით გამოიყენება:

1) კალგონი - 2 კგ/ტ-ზე ანუ 360 კგ/წელ;
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს დისპერგატორს, რომელიც არბილებს წყალს.

2) დისპერგატორი - 2 კგ/ტ-ზე ანუ 360 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს აკრილის პოლიმერს პირველადი ფორმით, დისპერგატორი, მაღალკონცენტრირებული პიგმენტებისათვის.

3) ბიოციდი - 2 კგ/ტ-ზე ანუ 360 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს, მრეწველობაში (მასალათდამცვისთვის) გამოსაყენებელ საშუალებას, იგივე ანტისეფტიკი, რომ საბოლოო პროდუქცია დაიცვას გაფუჭებისაგან.

4) ანტიქაფი - 2 კგ/ტ-ზე ანუ 360 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული ხელს უწყობს რომ არ წარმოიქმნას ქაფი საღებავში.

5) ცელულოზა - 4,4 კგ/ტ-ზე ანუ 792 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოქმნის საღებავის ბანტს.

6) სოდა - 1 კგ/ტ-ზე ანუ 180 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული ხელს უქყობს ცელულოზას, რომ მაქსიმალურად მოახდინოს ზემოქმედება.

7) კაოლინი - 10 კგ/ტ-ზე ანუ 1800 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს თეთრ პიგმენტს.

8) ცარცი 5 მიკრონიანი - 155 კგ/ტ-ზე ანუ 27900 კგ/წელ
   მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს კალციუმის კარბონატს , არის შემავსებელი და თეთრი ფერის პიგმენტი.

9) ცარცი 10 მიკრონიანი - 395 კგ/ტ-ზე ანუ 71100 კგ/წელ
მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს კალციუმის კარბონატს , არის შემავსებელი და თეთრი ფერის პიგმენტი.

10) გამასქელებელი - 3 კგ/ტ-ზე ანუ 540 კგ/წელ
მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს მზა შემკვრელ ნივთიერებას, ასევე არის წყალდამცავი.

11) პოლიმერი -120 კგ/ტ-ზე ანუ 21600 კგ/წელ
მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს აკრილის პოლიმერს პირველადი ფორმით

12) ეთილენგლიკოლი - 2.5 კგ/ტ-ზე ანუ 450 კგ/წელ
მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული საღებავებში გამოიყენება ანტიფრიზის ფუნქციით.

13) ტიტანიუმ დიოქსიდი -50 კგ/ტ-ზე ანუ 9000 კგ/წელ
მახასიათებელი: აღნიშნული ნედლეული წარმოადგენს პიგმენტებს ტიტანის დიოქსიდის ფუძეზე, რომელიც გამოიყენება თეთრი ფერის და სიპრიალის მისაცემად, ასევე იცავს საღებავს ტემპერატურის ცვლილების დროს და ხელს უწყობს წყალში ხსნადობას.

14) წყალი - 251.1 ლ/ტ-ზე ანუ 45198 ლ/წელ
მახასიათებელი: წყალი წარმოადგენს 30% მდე შემადგენელ ნაწილს საღებავებში.

4. საკანალიზაციო წყლების მართვა

სამეურნეო და საწარმოომიზნებისათვის წყლის გამოყენება ხორციელდება GWP-სთან შეთანხმებით, კომპანიას მინიჭებული აქვს შესაბამისი აბონენტის ნომერი.

საწარმოო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა ტოლია 45.200 ტ/წელ.

პროდუქციის დაფასოების შემდეგ ხდება ავზის გამორეცხვა, რომლის ნარეცხი გადაისხმევა მეორე ავზში, რომელიც გამოიყენება შემდგომი წარმოებისათვის, ისე რომ ნარეცხის გადაღვრა არ ხდება, ის კვლავწარმოებაში ბრუნდება.

წყლის ხარჯი სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება საოფისე შენობაში და სანიტარულ კვანძებში მოსამსახურეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის ხარჯი გაანგარიშებულია "კომუნალური წყალმომარაგებისა და

კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" მიხედვით (დამტკიცებულია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 21.10.1998 წ., №81 ბრძანებით).

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის რაოდენობას ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$Q = (A \times N)$ $მ^3$/დღ-ში;

სადაც:

Q - დღეღამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის ხარჯი;

A – მუშაკთა საერთო რაოდენობა დღეღამის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევაში A = 6 მუშაკი;

ხოლო N- წყლის ნორმა სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის ერთ მუშაკზე დღის განმავლობაში, ჩვენ შემთხვევაში N = 0.045 $მ^3$/დღ.;

აქედან გამომდინარე, დღეღამეში სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საჭირო წყლის ხარჯი იქნება:

$Q = (6 \times 0.045) = 0.27$ $მ^3$/დღ-ში, ხოლო წლიური რაოდენობა იქნება 0.27x180=48.68 $მ^3$/წელ-ში.

აღნიშნული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

5. ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

<u>სახიფათო ნარჩენები.</u> იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა მოხდება ავტოგასამართ სადგურებში, ასევე ზეთის გამოცვლა მოხდება ტექმომსახურეობის ობიექტებში, აქედან გამომდინარე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. თუმცა საწარმოში სარემონტო სამუშაოების წარმოებისას მოსალოდნელია დაბინძურებული ჩვრების სახით ან სხვა სახით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, ამიტომ ობიექტის ტერიტორიაზე განთავსდება სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი ჰერმეტული კონტეინერი. სახიფათო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

საღებავის წარმოებიდან ნარჩენების სახით წარმოიქმნება მხოლოდ იმპორტირებული ნედლეულის მოხმარების შედეგად დარჩენილი ქარალდის ტომრები, რომელიც შესაბამისი წესების დაცვით შემდგომში ნადგურდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის მიერ.

საწარმოში წელიწადში ასევე მოსალოდნელია 4.38 $მ^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლისათვის განთვსებული იქნება შესაბამისი ყუთი და მისი გატანა განხორციელდება ადგილობრივი დასუფთავების სამსახურის მიერ,

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

წყალში ხსნადი საღებავების დამამზადებელი მიქსერიდან გაფრქვევის ინტენსივობების ანგარიში განხორციელდა ბეტონშემრევიდან გაფრქვევების ანალოგიური მეთოდით, კერძოდ:

ბეტონშემრევში ყოველ 1 ტონა პროდუქციის წარმოებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0,05 **კგ/ტონაზე შეწონილი ნაწილაკები.**

რადგან მიქსერის წარმადობა ტოლია 0.125 ტ/სთ-ში, ამიტომ გაფრქვევის ინტენსივობები შესაბამისად შეწონილი ნაწილაკებისა ტოლი იქნება:

M =0.125x 0.05 x 1000/3600=0.00174 გ/წმ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წლიურად წარმოებული იქნება 180 ტონა წყალში ხსნადი საღებავი, მაშინ წლიური სამუშაო საათების რაოდენობა ტოლი იქნება 180/0.1255=1440 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:

$G = 0.00174 \times 1440 \times 10^{-6} \times 3600 = 0.009$ ტ/წელ.

აქედან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საწარმო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი 170 მეტრი მანძილითაა დაშორება.

6.1 ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

საწარმოს მუშაობის პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.).

საწარმოში დასამონტაჟებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, თითოეული მათგანისათვის არ აღემატება 75 დეციბელს. მაშინ ხმაურის ჯამური დონე იქნება:

$$L_j = 75+10\lg n=80 \text{ დბ.}$$

საწარმოს ტერიტორიიდან r – მანძილისათვის ბგერითი სიმძლავრის დონეების სიდიდეები ხმაურის დამცავი საშუალებების გარეშე მოცემულია. ცხრილ 6.1-ში .

ცხრილი 6.1.

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავიური ზოლ-ების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	100	170	200	250	300	350	400	450	500
63	32.00	27.39	25.98	24.04	22.46	21.12	19.96	18.94	18.02
125	31.93	27.27	25.84	23.87	22.25	20.87	19.68	18.62	17.67
250	31.85	27.14	25.68	23.67	22.01	20.59	19.36	18.26	17.27
500	31.70	26.88	25.38	23.29	21.56	20.07	18.76	17.59	16.52
1000	31.40	26.37	24.78	22.54	20.66	19.02	17.56	16.24	15.02
2000	30.80	25.35	23.58	21.04	18.86	16.92	15.16	13.54	12.02
4000	29.60	23.31	21.18	18.04	15.26	12.72	10.36	8.14	6.02
8000	27.20	19.23	16.38	12.04	8.06	4.32	3.16	0.76	-2.88

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვა-ლისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

როგორც ცხრილი 6.1-დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 100 მეტრში ნორმაზე ნაკლებია.

საწარმოს განთავსების ადგილისა და მისგან მოსახლეობის დაშორების გათვალისწინებით ხმაურის უარყოფითი გავლენა მინიმუმამდეა შემცირებული.

6.2 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

ნიადაგი რთული შედგენილობის ფაქიზი სისტემაა, რომელიც ძალზე მგრძნობიარეა ეგზოგენური ნივთიერებების მიმართ. მისი თავისებურებაა ტექნოგენური ნივთიერებების კონცენტრირება და ფიქსაცია. ნიადაგში მოხვედრილი ნივთიერებების დიდი ნაწილი სორბციის გამო გადადიან უძრავ ფორმაში. ნორმირებული ნივთიერებების გავლენით იცვლება ნიადაგის ბუნება, დეგრადირდება მიკროფლორა და ნელდება მცენარის განვითარება. აღნიშნული საქმიანობის სპეციფიკაციის გამო ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს: ნარჩენების უკონტროლო მართვა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა.

ნარჩენების მართვის წესების დარღვევა უარყოფით გავლენას ახდენს გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე, როგორიც არის: ნიადაგის საფარი, მიწისქვეშა წყლები, მცენარეული საფარი. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობით ბუნების სხვადასხვა რეცეპტორებზე ზეგავლენის თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანია კომპანიამ უზრუნველყოს ნარჩენების მართვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა პირველ რიგში იწვევს მასში ჟანგბადის განახლების შეფერხებას და მიკროფლორის განადგურებას. აღნიშნულის შედეგად მცირდება ნიადაგის ბუნებრივი გაფხვიერების ხარისხი და ჰუმუსის ფენა კარგავს ნაყოფიერებას. მეორეს მხრივ შესაძლებელია ნავთობპროდუქტების მცენარეებში მოხვედრა, რაც თავის მხრივ მცენარეული საფარის მომხმარებელ სხვა რეცეპტორებზე ახდენს მავნე ზეგავლენას.

აღნიშნულის შედეგად საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, რომელიც დღეისობით მოასფალტებულია ან მოშანდაკებულია.

გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების ანალიზისას გასათვალისწინებელია ნიადაგის ხარისხის გაუარესების რისკები და ასეთი რისკების მინიმიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება.

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მიწის სამუშაოები არ არის დაგრგმილი, აქედან გამომდინარე არ მოხდეს რაიმე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ნიადაგის/გრუნტის ხარისხის გაუარესების რისკები შიძლება გამოიწვიოს:

- საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის წესების დარღვევა;
- ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა;
- მოძველებული და ამორტიზებული საწარმოო-სანიაღვრე შიდა კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია;

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო პროცესი მთლიანად მიმდინარეობს დახურულ შენობაში.

ავტოტრანსპორიდან ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში დროულად უნდა მოხდეს ტერიტორიის მოწმენდა და აღნიშნული გადაეცეს სპეციალური ნებართვის მქონე კომპანიას შემდგომი უტილიზაციის მიზნით.

სხვა მხრივ, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად არ დაიშვება ტერიტორიის ჩახერგვა ლითონის ჯართით, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენებით. აუცილებელია ტერიტორიის სანიტარიული პირობების დაცვა.

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო პროცესი გამოიყენება ისეთი ნედლეული, რომლების ზემოქმედება გამორიცხავს ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურებას. მით უმეტეს საწარმოო ტერიტორია მთლიანად მობეტონებულია.

6.3 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საწარმოს განკუთვნილი ტერიტორიიდან ყველაზე ახლოს მდებარეობს - **თბილისის დაცული ტერიტორია,** რომელიც საზღვარი საწარმოო ტერიტორიიდან დაშორებული დიდი მანძილით. საწარმოს სფეციფიკიდან და სიმძლავრეებიდანნ გამომდინარე შემოთავაზებული მდებარეობა არ ახდენს უარყოფით გავლენას დაცულ ტერიტორიებზე.

6.4 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ არის მიწისზედა ძეგლები (ისტორიული მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები). ასევე ბუნებრივია მისი მშენებლობა ვერ გამოიწვევს რაიმე უარყოფით ზეგავლენას მასზე.

საწარმოს ტერიტორიაზე შემდგომში რაიმე სახით მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში დამკვეთის მოთხოვნით სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

6.5 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო თავისი ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, დაახლოებით 6 მუშა ხელი, შესაბამისად, დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

6.6 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

6.7 ტრანსსასზღვო ზემოქმედება

საწარმოო ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.8. სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

საწარმოში სუნის გავრცელების წყაროს წარმოადგანს საწარმოში არსებული დანადგარებიდან აირის სახით **ატმოსფეროში გამოყოფილი შეწონილი ნაწილაკები.**

ატმოსფერულ ჰაერში შეწონილი ნაწილაკების გაფრქვევის მიწისპირა კონცეტრაციების მნიშვნელობა მოსალოდნელია მნიშვნელოვნად დაბალი ზდკ-ს მიმართებაში, აქედან გამომდინარე ბუნებრივია სუნის გავრცელება არ იქნება შემაწუხებელი უახლოს დასახლებული მოსახლეობისათვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სუნის გავრცელების ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიება იქნება საწარმოო დანადგარების გამართული მუშაობა და საწარმოო ტექნოლოგიის სრული დაცვა, კერძოდ მიქსერში წყლის ჩასხმამდე არ მოხდეს ნედლეულის ჩაყრა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეწონილი ნაწილაკების გამოყოფის მომატება ატმოსფერულ ჰაერში.

6.9 კუმულაციური ზემოქმედება

განსახილველი საწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე კუმულაციური ეფექტი შესაძლებელია განხილული იყოს შემდეგი მიმართულებებით:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები;
- ხმაურის გავრცელება.

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

რაც შეეხება საწარმოს შემოგარენში, არ არსებობს ისეთი საწარმოო ობიექტები, რომლების კუმულაციურ ზემოქმედებას გამოიწვენენ.

ყოველივე აქედან გამომდინარე, აღნიშნულის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰარში მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციების ანგარიშისას გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული ფონური მახასიათებლები რომელიც ეთანადება 125 -

250 ათას მოსახლეობის რიცხოვნობის სიდიდეს, ხოლო, რაც შეეხება, ხმაურს, როგორც უკვე აღინისნა, მისი სიდიდე არ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს.

6.10 შესაძლო ავარიული სიტუაციები

საწარმოო ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების საერთო დანიშნულების, აგრეთვე კონკრეტული პირობებისათვის განსაზრვრული ღონისძიებები, რომელთა დაცვაზე კონტროლს ახორციელებს დასახლებული პუნქტის მმართველობის შესაბამისი სამსახურები. იმ შესაძლებელი ავარიული სიტუაციების თავის არიდება, რომელიც მოსალოდნელია ელექტროსადენებზე ხანძრის გავრცელებით, ელ.ენერგიის მიწოდების შეწყვეტით – ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელობის პირადი პასუხისმგებლობით, ინვესტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებების დაცვის უზრუნველყოფით.

საწარმო პროცესის ყველა უბანი ტექნიკურად უზრუნველყოფილია ავარიების პრევენციის საშუალებებით. ამიტომ ნებისმიერი ინციდენტი საწყის სტადიაშივე ისპობა მოწყობილობის ავარიული გამორთვის და შედეგების ლოკალიზაციით.

მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები აღნიშნული ტიპის საწარმოებისათვის პრაქტიკაში იშვიათია და უმეტესად დაკავშირებულია ტექნოლოგიური მოწყობილობის დაზიანებასთან.

ატმოსფერული ელექტრული მოვლენებისაგან, აგრეთვე სტატიკური დენებისაგან დაცვის მიზნით საწარმოო ობიექტზე მონტაჟდება შესაბამისი ლითონის ხელოვნური დამიწების კონტურები.

საწარმოში ლოკალური ხანძრების გაჩენის შემთხვევისათვის იგეგმება სპეციალური ცეცხლსაქრობი საშუალებები.

საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციებია:

- საწარმოო დანადგარების ავარიული გამორთვა ან დაზიანება;
- ხანძარის წარმოქმნა და გავრცელება;
- რომელიმე ნაგებობის ან შენობის ავარიული დანგრევა;

საწარმო მომარაგებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, კერძოდ: მომარაგებული იქნება ცეცხლმაქრების საკმარისი მარაგი და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. საწარმოში ხანძრის აღმოჩენების შემთხვევაში გათვალისწინებულია ადგილობრივი სახანძრო რაზმის შესაძლებლობების გამოყენება.

საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივად გააკონტროლოს დანადგარების მუშაობის გამართულობა.

რომელიმე ნაგებობის ან შენობის ავარიული დანგრევის ალბათობა მცირეა. ასეთი ავარიის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღაველობა ვალდებულია პირველ რიგში მოხდეს საწარმოს უბანზე ელექტროენერგიისა გამორთვა, ავარიის უბნიდან თანამშრომლების გამოყვანა, ადამიანების რაიმე დაზიანების შემთხვევაში სასწრაფო-სამედიცინო პერსონალის გამოძახება და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებისათვის ყველა ზომების ჩატარება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.1 ქვეპუნქტის თანახმად, შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით, ქიმიური ნივთიერების წარმოება და 6.3 ქვეპუნქტის თანახმად, ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას და სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი 1. ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ნაკადასტრო კოდი:	**01.19.19.002.065**	ნაკვეთის დანიშნულება:	არასასოფლო სამეურნეო
გამიჯვნების ნომერი:	**892017202573**	ფართობი:	**4343 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**12/12/2017**		



დანართი 2. მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯაროო რეესტრიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18095358, 10/09/2018 10:12:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ECOMIX
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406056440
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	17/10/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თვალჯრელიძის ქ., №6

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: ecomix.ge@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - AN0514738, AM0201847 , BA2023451, , არმან ჰაკობიან, სომხეთი

ნაწილთა/აქციათა სქემა

მესაკუთრე	**ნილი**	**ნილის მმართველი**
AN0514738, AM0201847 , BA2023451, , არმან ჰაკობიან, სომხეთი	50%	
AK0646283, AN0413024, , მიჰრან მეჰრაბიან, სომხეთი	50%	

დანართი 3. ამონაწერი საწარმოო რეესტრიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18095358, 10/09/2018 10:12:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ECOMIX
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	406056440
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	17/10/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ., №6

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: ecomix.ge@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის სამართლებრივ პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

* დირექტორი - AN0514738, AM0201847 , BA2023451, , არმან ჰაკობიან, სომხეთი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
AN0514738, AM0201847 , BA2023451, , არმან ჰაკობიან, სომხეთი	50%	
AK0646283, AN0413024, , მიჰრან მეჰრაბიან, სომხეთი	50%	

ნომერი: 10/01212311385-16
თარიღი: 19.08.2021 16:08
ვადა: 20.09.2021

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს ECOMIX საიდენტიფიკაციო კოდი : 406056440
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ., □ 6
საკონტაქტო ინფორმაცია: 597550303; 597469090;
განცხადების N: განცხადების თარიღი:
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადების შემომტანი

კურიერი: დავითი ალავიძე პირადი ნომერი: 01019068837

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გთხოვთ იხილოთ მიმაგრებული ფაილი.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 1
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: პირადი უზრუნველყოფით ხელზე გატანა

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 10/01212311385-16
19.08.2021 : 16:08

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01212361890**
თარიღი: **24/08/2021**
პინი: **6383**

ადრესატი: შპს ECOMIX
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406056440
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, თვალჭრელიძის ქ., №6

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო არმან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, განიხილა თქვენი 19.08.2021 წლის №10/01212311385-16 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას, მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.19.002.065, სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ში დასაშვებია თუ არა წყალ დისპერსიული საღებავის წარმოება.

პასუხად გაცნობებთ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.002.065) ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. სპეციალური ზონა-ში (ს-1), სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		–	კოეფიციენტი
კ-2		–	კოეფიციენტი
კ-3		0,1	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	–	კვ.მ

ფართობი და ზომები	მინიმალური სიგანე	–	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	–	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი

მოგახსენებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასებამდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. აქედან გამომდინარე,შესაბამისად მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა მიმართოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და წარადგინოთ სათანადო დოკუმენტაცია.

ასევე, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დადგენა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მსჯელობის საგანს. შესაბამისად, კონკრეტული პირობების დასადგენად საჭიროა მიმართოთ არქიტექტურის სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, უ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი